საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2018 წლის ანგარიში

თბილისი

ძვირფასო მკითხველებო,

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2018 წლის ანგარიში.

2018 წელს საქართველოში ოპერირებდა 17 სადაზღვევო კომპანია, რომელთაგან 16 ფლობს, როგორც სიცოცხლის დაზღვევის, ისე დაზღვევის (არა სიცოცხლის) ლიცენზიას, ხოლო ერთი-მხოლოდ დაზღვევის (არა სიცოცხლის) ლიცენზიას. რაც შეეხება სადაზღვევო ბროკერებს, 2018 წლის ბოლოსთვის საქართველოში რეგისტრირებული იყო დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განმახორციელებელი 25 კომპანია.

საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრიისთვის 2018 წელი საკმაოდ წარმატებული იყო. მნიშვნელოვნად გაიზარდა სადაზღვევო კომპანიების მიერ, როგორც ჯამურად მოზიდული სადაზღვევო პრემია და წმინდა მოგება, ისე მათი კაპიტალი და აქტივები.

2018 წლის განმავლობაში, დაზღვევის თითქმის ყველა სახეობაში დაფიქსირდა სადაზღვევო პრემიის ზრდა და სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული სადაზღვევო პრემიების ოდენობამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან შეადგინა 542.2 მლნ ლარი, რაც 22.84%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (2017 წელს მოზიდული სადაზღვევო პრემია 441.4 მლნ ლარი).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინდუსტრიის კაპიტალმა შეადგინა 221.64 მლნ ლარი, რაც 43.7%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო აქტივების ოდენობა გაიზარდა 28.1%-ით და შეადგინა 743.22 მლნ ლარი. ასევე, მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა და 2018 წლის წმინდა მოგებამ შეადგინა 42.19 მლნ ლარი, რაც 2-ჯერ აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის აქტიური მუშაობის შედეგად, 2018 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“. აღნიშნული კანონის ძალაში შესვლით სადაზღვევო ინდუსტრიაში დამატებით მობილიზდა 30 მლნ ლარი სადაზღვევო პრემია.

2018 წელს სადაზღვევო ინდუსტრიამ მნიშვნელოვანი გამოწვევა დაძლია და დააკმაყოფილა გაზრდილი მინიმალური კაპიტალის ოდენობა, რაც 2018 წლის 31 დეკემბერიდან გაიზარდა და 2.2 მლნ ლარის ნაცვლად გახდა 4.2 მლნ ლარი.

სარჩევი

1. სამსახურის შესახებ 3
2. ლიცენზირება/რეგისტრაცია 4
3. საკანონმდებლო პროცესი 7
4. საერთაშორისო ურთიერთობები 10
5. მომხმარებელთა უფლებები და ფინანსური განათლება 15
6. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა 17
7. საქართველოს ეკონომიკა და სადაზღვევო სექტორი 18
8. საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და საზედამხედველო სისტემა 22
9. ბაზრის კონცენტრაცია 28
10. მზღვეველების აქტივების სტრუქტურა 32
11. სექტორის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფა 35
12. სადაზღვევო ბროკერები 40

1. სამსახურის შესახებ

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 20 მარტს შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე, შეიქმნა დამოუკიდებელი ორგანო საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (შემდგომში „სამსახური“), რაც წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის სამართალმემკვიდრეს დაზღვევის და საპენსიო სქემების ზედამხედველობის საკითხებში.

ფუნქციები

სამსახური თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე. მისი უფლებამოსილებები განსაზღვრულია „დაზღვევის შესახებ'' საქართველოს კანონით და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 მაისის №102 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით. სამსახურის ფუნქციებში შედის:

- დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება;
- სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისთვის ხელის შეწყობა;
- საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მომხმარებელთა უფლებების დაცვა;
- სადაზღვევო ორგანიზაციების გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა;
- კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, რისთვისაც ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობის განზოგადებას;
- კანონპროექტების, ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის შექმნა და მისი შესრულების კონტროლი;
- არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის სფეროს ზედამხედველობა კომპეტენციის ფარგლებში;
- სახელმწიფო ხელისუფლების და/ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ინიცირებული სახელმწიფო, მუნიციპალური და დარგობრივი სადაზღვევო პროგრამების შეთანხმება.

ხელმძღვანელობა

სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც 5 წლის ვადით, სამსახურთან არსებული სამეთვალყურეო საბჭოს წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს მთავრობა. სამსახურთან არსებული სამეთვალყურეო საბჭო შედგება 7 წევრისგან, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ.

დაფინანსება

2018 წლის პირველი იანვრიდან სამსახური აღარ ფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან, იგი ფინანსურად დამოუკიდებელია და მისი დაფინანსების პრაქტიკულად ერთადერთ წყაროს წარმოადგენს მზღვეველების მიერ გადახდილი საზედამხედველო საფასური.

საზედამხედველო საფასურის ოდენობა განისაზღვრება კალენდარული წლის განმავლობაში მზღვეველის მიერ გამომუშავებული ბრუტო-პრემიის ან/და მაგროვებადი და დაბრუნებადი სიცოცხლის დაზღვევის სახეობებში მზღვეველის კუთვნილი შემოსავლის ოდენობიდან. საზედამხედველო საფასურის განაკვეთია:

- მზღვეველის მიერ წლიურად გამომუშავებული ბრუტო-პრემიის 1 პროცენტი;

- მაგროვებადი და დაბრუნებადი სიცოცხლის დაზღვევის სახეობებში მზღვეველის მიერ მიღებული კუთვნილი წლიური შემოსავლის 1 პროცენტი.

მზღვეველის მიერ საზედამხედველო საფასურის გადახდის მიზანია, სამსახურმა ეფექტიანად განავითაროს დაზღვევის სფერო, დაიცვას მზღვეველის, დამზღვევისა და მომხმარებლის ინტერესები, აგრეთვე დაფაროს სამსახურის ხარჯები. საზედამხედველო საფასური ირიცხება ცალკე ანგარიშზე, სამსახურის სარგებლობისთვის, რომელსაც მისი მიზნობრივად გამოყენების სრული უფლებამოსილება აქვს.

2. ლიცენზირება/რეგისტრაცია

სამსახურის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტებია:

- ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაციები (მზღვეველები);
- რეგისტრირებული სადაზღვევო ბროკერები;
- რეგისტრირებული არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლები.

მზღვეველები

2018 წელს საქართველოში სადაზღვევო საქმიანობას ახორციელებდა 17 სადაზღვევო ორგანიზაცია, რომელთაგან 16 ფლობდა ორი სახის – სიცოცხლის დაზღვევის და დაზღვევის (არა სიცოცხლის) ლიცენზიას, ხოლო ერთი – მხოლოდ დაზღვევის (არა სიცოცხლის) ლიცენზიას. საანგარიშო პერიოდში საქართველოში ოპერირებდა შემდეგი სადაზღვევო კომპანიები:

- სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“;
- სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“;
- სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“;
- სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“;
- სს „არდი დაზღვევა“;
- სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“;
- სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“;
- სს „პსპ დაზღვევა“;
- სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“;
- სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“;
- სს „სადაზღვევო კომპანია ტაო“;
- სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“;
- სს „თიბისი დაზღვევა“;
- სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“;
- სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“;
- სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“;
- სს „ჰუალინგ დაზღვევა“;



„ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ (შემდგომში ტექსტში „ასოცირების შესახებ შეთანხმება“) გამომდინარე, ევროკავშირისა და საბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის 2009/138/EC „სადაზღვევო ბიზნესის დაწყებისა და ფუნქციონირების შესახებ“ დირექტივასთან ჰარმონიზაციის პროცესის გათვალისწინებით განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, დაინერგა სადაზღვევო კომპანიების ორგანიზაციული მართვის სისტემის ერთიანი სტანდარტი, რომელიც ეფუძნება მკაფიოდ გამიჯნულ, სათანადოდ გადანაწილებულ პასუხისმგებლობას დირექტორატსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის და ექვემდებარება რეგულარულ შიდა ანალიზსა და კონტროლს. მზღვეველის ადმინისტრატორებისთვის თანამდებობასთან პიროვნული და პროფესიული შესაბამისობის კრიტერიუმების განსაზღვრის და მათი კანდიდატურების სამსახურთან წინასწარი შეთანხმების პროცესის დანერგვამ ხელი შეუწყო კომპანიების დაკომპლექტებას კვალიფიციური და კარგი რეპუტაციის მქონე კადრებით.

2018 წელს დასრულდა მორიგი ეტაპი მზღვეველების საქმიანობის შიდა ანალიზისა და კონტროლის მიმართულებით. კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, სავალდებულო წესით დაინერგა შიდა აუდიტის სისტემა, რომლის თანახმად მზღვეველის საქმიანობა დაექვემდებარა შიდა აუდიტორულ შემოწმებას მიმდინარე საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის და მართებულობის შემოწმების, მისი ადეკვატურობისა და ეფექტიანობის, ასევე სამართლებრივი აქტების, შიდა პროცედურების/წესების დაცვის კონტროლის და მართვის შიდა სისტემების შეფასების მიზნით. მზღვეველის შიდა აუდიტორის კანდიდატურა ექვემდებარება სამსახურთან წინასწარ შეთანხმებას, კანდიდატის მიერ კანონით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. სამსახურის მიერ განხორციელდა ყველა ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის შიდა აუდიტორის კანდიდატურის სამსახურის მიერ დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესწავლა და თანხმობების გაცემა მათ დანიშვნაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიზნად ისახავს სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდას და კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობის (ოპერატიულობის) გაუმჯობესებას, მომხმარებელთა უფლებების დაცვას და სისტემისადმი ნდობის ამაღლებას.

არასახელმწიფო საპენსიო სქემები

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წელს შეტანილი ცვლილების და „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, არასახელმწიფო საპენსიო სქემები დაექვემდებარა სამსახურის მხრიდან ზედამხედველობას.

2018 წლის მონაცემებით, სამსახურში რეგისტრირებული იყო 4 არასახელმწიფო საპენსიო სქემა, რომელთაგან 3 სქემის დამფუძნებელს წარმოადგენდა სადაზღვევო კომპანია, ხოლო ერთი სქემა დაფუძნებული იყო არამზღვეველი იურიდიული პირის მიერ საკუთარი დასაქმებულებისთვის (პროფესიული საპენსიო სქემა). საანგარიშო პერიოდში საქართველოში არსებობდა არასახელმწიფო საპენსიო სქემების დამფუძნებელი შემდეგი კომპანიები:

- სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“;
- სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“;
- სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“;
- შპს „საქაერონავიგაცია“.

სადაზღვევო ბროკერები

2018 წლის მონაცემებით, სამსახურში რეგისტრირებული იყო 25 სადაზღვევო ბროკერი. კერძოდ:

- შპს "სადაზღვევო ბროკერი მაი ჯორჯია"
- შპს "რეზოლუშენ ინშუარანს ბროუქერს საქართველო"
- შპს "MMA Georgia"
- შპს "უილის თაუერს უოთსონი"
- შპს "ჯორჯიან რეინშურანს ბროკერს GEORGIAN REINSURANCE BROKERS
- ი/მ "საბროკერო დაზღვევის მაღაზია – ვალერიან გაბელაია"
- შპს "კაპიტალ გარანტი"
- შპს "რესპექტი"
- შპს " სიბ ჯორჯია"
- შპს "ნიკოლოზ ჯგუფი"
- შპს „ფინანსური რისკების გადაწყვეტა“
- შპს " ჯეოთრასთ"
- შპს "ვაისი"
- შპს " მაგნუსი სადაზღვევო ბროკერი"
- სს „ლონდონ პრაიმ ინტერნაციონალ ბროკერს“
- შპს" გლობალ ინშურან ბროკერი"
- შპს " აი ბი სი ჯორჯია"
- შპს " დიჯილაბი"
- შპს " დარაბი"
- შპს " კალმა"
- შპს " არრიბა"
- შპს " ბროკერზ ჰაუზ ჯორჯია"
- შპს " აი–ჯი კომპანი"
- შპს „ალიანსი“
- შპს “TRUSTY BROKER”

3. საკანონმდებლო პროცესი

დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობა, როგორც ფინანსური სფეროს შემადგენელი ნაწილი, საერთაშორისო (მათ შორის ევროკავშირის) სტანდარტის გათვალისწინებით რეგულირებადი სფეროა, რაც მოიცავს სუბიექტის რეგისტრაციას, მის ადგილზე და დისტანციურ ზედამხედველობას, ხელმძღვანელი პირების შესაბამისობას სპეციალურად დადგენილი შესაფერისობის კრიტერიუმებთან, მომხმარებლისთვის სანდო და სამართლიანი ინფორმაციის მიწოდებას/მომსახურებას, კანონდარღვევის გათვალისწინებით სანქცირების სისტემას და მთელ რიგ სხვა საკითხებს, რაც ამ კონკრეტული სფეროს სანდოობის და ზოგადად, ფინანსური სექტორის გამართულად ფუნქციონირების საფუძველია.

„დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონით“ სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის ზედამხედველობა, თუმცა სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის საკანონმდებლო ინსტრუმენტები ამ მიმართულებით საკმაოდ მწირი იყო.

სამსახურმა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დაადგინა მინიმალური მოთხოვნები სადაზღვევო ბროკერების რეგისტრაციის/ანგარიშვალდებულების მიმართულებით, ხოლო 2018 წელს დასრულდა მუშაობა „დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებზე“, რომლის საფუძველზეც დადგინდა დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის მარეგულირებელი მკაფიო ჩარჩო, სისტემატიზაციაში მოვიდა საშუამავლო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები, განისაზღვრა მოთხოვნები სადაზღვევო ბროკერების მიმართ, მათ შორის სადაზღვევო ბროკერის ფინანსური სტაბილურობის ინსტრუმენტების - მინიმალური კაპიტალის/საგარანტიო ფონდის და პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ქონის აუცილებლობა, დადგინდა სადაზღვევო ბროკერის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმები - მისი ადგილზე და დისტანციური ზედამხედველობა, სამსახურისადმი ანგარიშვალდებულების ფორმა და წესი, ხელმძღვანელი პირების შესაფერისობის კრიტერიუმების მოთხოვნა, მომხმარებლისთვის სანდო და სამართლიანი ინფორმაციის მიწოდება/მომსახურების სტანდარტები, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აუდიტორული დასკვნის სამსახურისათვის წარდგენის ვალდებულაბა, განისაზღვრა სამსახურის მიერ შესამუშავებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ნუსხა, კანონში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე შემდგომში სათანადო რეგულირების უზრუნველსაყოფად, სანქცირების (მათ შორის ფულადი ჯარიმების) სისტემა სადაზღვევო ბროკერის მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევებში (მოცემული მოთხოვნები სრულად შევა ძალაში 2019–2020 წ.წ.).

აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის, როგორც ფინანსური სექტორის შემადგენელი ერთ-ერთი მიმართულების სანდოობის ამაღლებას, მის გამართულ ფუნქციონირებას და გაძლიერებას, გაიზრდება სადაზღვევო ბაზარზე შუამავლების სეგმენტის გამჭვირვალობა და შესაბამისად, დაზღვეულთა/პოლისის მფლობელთა ინტერესების დაცულობის ხარისხი.

ზემოხსენებული ცვლილებები მომზადდა 2002 წლის 9 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/92/EC „დაზღვევის საშუამავლო საქმიანობის“ შესახებ დირექტივის პრინციპების გათვალისწინებით (უშუალოდ ეხმიანება ამ დირექტივის ძირითად მიდგომებს დაზღვევის ბროკერებთან მიმართებაში), რომელიც დღეის მდგომარეობით ჩანაცვლებულია 2016 წლის 20 იანვრის 2016/97/EC დირექტივით. დინამიური აპროქსიმაციის პრინციპის, ასევე აღნიშნულთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებული ხედვის გათვალისწინებით, ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან შეთანხმებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა ახალ დირექტივასთან (2016 წლის 20 იანვრის 2016/97/EC) ჰარმონიზაციის პროცესში ჩართვა, რაც თავისთავად მოიცავს სრულიად

ახალი სტანდარტების დანერგვის შესაბამის ხედვებს ამ პროცესისთვის ადეკვატური ვადების დადგენის აუცილებლობის გათვალისწინებით.

არსებული საკანონმდებლო ცვლილებები წარმოადგენს ბაზას რეგულაციის შემდგომი ეტაპისთვის.

საკანონმდებლო ცვლილებით დაგეგმილია მზღვეველის აქციონერებისა და ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების მოთხოვნა, რაც აპრობირებულია ფინანსურ სექტორში და ემსახურება გამჭვირვალობასა და ნდობის ხარისხის ამაღლებას.

საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების თანახმად, საქართველომ უნდა დანერგოს სისტემა ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა მესამე პირების მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ. ეტაპობრივი დანერგვის მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, საკითხი იმთავითვე გაიყო 2 ნაწილად: „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონი“ ამოქმედდა 2018 წლის 1 მარტიდან, რითაც დასრულდა იმპლემენტაციის პირველი ეტაპი. იგი შეეხო მხოლოდ იმ სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც რეგისტრირებულია უცხო ქვეყანაში და გადმოკვეთეს საქართველოს საზღვარი, ხოლო დაზღვევის განხორციელება ხდება ბაზრის თანაბარი გადანაწილების პრინციპით მზღვეველების მიერ სოლიდარულად აღებული ვალდებულებების ფარგლებში.

„საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ 2017 წლის 15 დეკემბრის კანონის გარდამავალი დებულებების თანახმად, საქართველოს მთავრობას დაევალა საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის თაობაზე შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების პროექტის მომზადება და 2019 წლის 1 იანვრამდე საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა, რაც წარმოადგენს პროცესის მეორე ეტაპს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2018 წელს სამსახურმა შეიმუშავა კანონის პროექტი „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ,“ რომელიც განხილულ და შეთანხმებულ იქნა საქართველოს მთავრობასთან, შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან და გადაეცა საქართველოს პარლამენტს განსახილველად.

საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა „შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონი“, რომლის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით მუშაობის პერიოდში დასაქმებული უზრუნველყოს უბედური შემთხვევის დაზღვევით, რომლის ამოქმედების ვადად, ამავე კანონით განისაზღვრა 2019 წლის 1 იანვარი. კანონმა არ განსაზღვრა კონკრეტული სადაზღვევო პირობები და ლიმიტები, თუმცა მოახდინა სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის კლასიფიკაცია, რომელსაც უნდა ფარავდეს დაზღვევის ხელშეკრულება. წინამდებარე ანგარიშის მომზადების დროისთვის, ზემოხსენებული კანონი ძალადაკარგულია 2019 წლის 19 თებერვალს მიღებული საქართველოს ორგანული კანონით „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, რომლითაც დაზუსტდა, რომ დაზღვევის ვალდებულება გავრცელდა მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაო ადგილებზე. აქვე განისაზღვრა, რომ ამ კანონის მიზნებისთვის უბედური შემთხვევის დაზღვევის წესები და პროცედურები დგინდება მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2018 წელს, სამსახური სადაზღვევო ინდუსტრიასთან ერთად, აქტიურად ჩაერთო წინამოსამზადებელ სამუშაოებში, რათა მეწარმე სუბიექტებს არ შექმნოდა დაბრკოლება

საკანონმდებლო მოთხოვნათა დაკმაყოფილების კუთხით, კანონით დადგენილ ვადებში. პირველ ეტაპზე, საკითხისადმი მიდგომა მოხდა არსებული ჩარჩოს გათვალისწინებით, თავისუფალი, მხარეთა შორის შეთანხმებული არჩევანის პრინციპით, აქვე დაიგეგმა სამომავლოდ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მომზადება, რომლის თანახმადაც მოხდება დაზღვევის პირობების და სადაზღვევო ლიმიტების დაზუსტება, რაც იქნება შემდგომი ნაბიჯი და განუყოფელი ნაწილი შრომის უსაფრთხოების მიდგომების დახვეწის მიმართულებით.

2018 წელს ამოქმედდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „მასობრივი თავშეყრის ობიექტების განსაზღვრისა და მათი მფლობელების მიერ მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის წესი და პირობები“. სამსახური აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყველა დაინტერესებულ პირს უწევდა კონსულტაციას. სამსახურის ვებ-გვერდზე www.insurance.gov.ge დაცულია ინფორმაცია ამ სახეობაში მონაწილე სადაზღვევო ორგანიზაციების შესახებ.

სახელმწიფოს მიერ ევროინტეგრაციის გზაზე აღებულ ვალდებულებათა მიმართულებით, სამსახურმა მჭიდროდ ითანამშრომლა საქართველოს ეროვნულ ბანკთან, 2002 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/87/EC დირექტივასთან ჰარმონიზაციის მიმართულებით. ერთობლივად იქნა განხილული კანონპროექტი, რომელიც ფინანსური კონგლომერატების დამატებითი ზედამხედველობის ქვეშ მოქცევას გულისხმობს, სადაც ფინანსური სექტორის შემადგენელ სუბიექტებთან ერთად, ერთ-ერთ საზედამხედველო სუბიექტად გათვალისწინებულია მზღვეველი, ხოლო ზედამხედველად – სადაზღვევო საქმიანობაზე ზედამხედველი უწყება, ანუ სამსახური. პროექტი მიზნად ისახავს უზრუნველყოფილ იქნას ფინანსური სექტორის სიმყარე და სტაბილურობა, რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

2018 წელს სამსახურმა კვლავ გააგრძელა სადაზღვევო ორგანიზაციების ფინანსური სიმყარის და ამავდროულად, სამსახურის საზედამხედველო პროცესის სრულყოფის ძირითადი და საერთაშორისოდ აპრობირებული საფუძვლების მიმართულებით მუშაობა.

2018 წლიდან ძალაში შევიდა მსოფლიო ბანკის ექსპერტების უშუალო მონაწილეობით შემუშავებული „საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესი“.

მოცემული დოკუმენტით სადაზღვევო საქმიანობის ყველა ეტაპზე მინიმალური კაპიტალის ოდენობის შევსების წესი ჩაიშალა და განისაზღვრა დაზღვევის ფორმების (ნებაყოფლობითი/სავალდებულო) და დაზღვევის სახეობების მიხედვით (მოცემულს ითვალისწინებდა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები). კერძოდ, სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელთათვის:

- სიცოცხლის დაზღვევის სახეში გათვალისწინებულია 7,200,000 ლარი;
- დაზღვევა (არა სიცოცხლის) სახეში – გარდა სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევის, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევისა – 4,800,000 ლარი;
- დაზღვევა (არა სიცოცხლის) სახეში – სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევის, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევის ჩათვლით – 7,200,000 ლარი;
- გადაზღვევის სახეში 7,200,000 ლარი.

მზღვეველების მიმართ დაწესდა კაპიტალის შევსების გონივრული გრაფიკი, რათა ეს პროცესი მათთვის არ ყოფილიყო რთულად დასაძლევი. 2018 წლის 31 დეკემბრიდან ამოქმედდა კაპიტალის ზრდის პირველი ეტაპი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოქმედმა მზღვეველმა შეავსო და დააკმაყოფილა საკუთარი კაპიტალის დადგენილი ოდენობა – 4,200,000 ლარი სიცოცხლის

დაზღვევის სახეში და დაზღვევა (არა სიცოცხლის) სახეში, სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის ვალდებულებათა შესრულების და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევის სახეობების მიხედვით განხორციელებული საქმიანობის მიზნებისთვის, ხოლო 3,400,000 ლარი – დაზღვევა (არა სიცოცხლის) სახეში, გარდა სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის, ვალდებულებათა შესრულების და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევისა.

ზემოხსენებულის, მზღვეველის გადახდისუნარიანობის მარჟის და საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის გაანგარიშების შესახებ სამსახურის მიერ დადგენილი სტანდარტების ერთობლიობით დასრულდა გადახდისუნარიანობა 1 (SOLVENCY 1) სტანდარტის დაწესება, სადაზღვევო ორგანიზაციათა ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის ძირითადი ეტაპი.

სადაზღვევო სისტემის ფინანსური მდგრადობის, მისი გადახდისუნარიანობის და სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, სამსახურის მიერ განხორციელდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც შეეხება მზღვეველის მიერ აღებულ ნეტო ვალდებულებებსა და საზედამხედველო კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობის წესის შემუშავებას. მოცემული რეკომენდაცია გაიცა მსოფლიო ბანკის მიერ 2014 წელს ჩატარებული ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის ფარგლებში (FSAP), საკითხი დამუშავდა მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან ერთად ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში და არაერთხელ იქნა გავლილი სამუშაო რეჟიმში საერთაშორისო ექსპერტებთან.

ზემოაღნიშნულის მიზანია, ერთმა სადაზღვევო შემთხვევამ არ მოახდინოს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მზღვეველის გადახდისუნარიანობაზე/მის საზედამხედველო კაპიტალზე, რომლის დარეგულირებისთვის საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს დადგენილი მიდგომები, როგორიცაა მზღვეველის მიერ ერთი რისკით აღებული ნეტო ვალდებულების, ანუ საკუთარ თავზე აღებული რისკის მაქსიმალური ზღვრის დადგენა მის საზედამხედველო კაპიტალთან მიმართებაში, ხოლო დადგენილ ზღვარს ზემოთ არსებული რისკი გადაზღვეული უნდა იქნას.

საკუთარი შეკავების ზღვარი განისაზღვრა 15%–ით მისსავე საზედამხედველო კაპიტალთან მიმართებაში, ხოლო შემდგომ განისაზღვრა იმ გადამზღვეველი კომპანიების კრიტერიუმები, სადაც შესაძლებელია გადაეზღვეს ზღვარს ზემოთ დარჩენილი რისკი. სანდოობის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, ასეთია 2 კრიტერიუმი – გადამზღვეველს კვალიფიციური სარეიტინგო სააგენტოების მიერ უნდა ქონდეს მინიჭებული კონკრეტული საკრედიტო რეიტინგი და კოეფიციენტი, რომელიც ექვივალენტურია გადახდისუნარიანობა 2-ის (SOLVENCY 2) შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლისა.

2018 წელს დასრულდა მოცემულ სტანდარტზე მუშაობა, 2019 წელს კი იგეგმება შესაბამისი ნორმატიული აქტების გამოცემა - ტექნიკური პროცედურების გავლის შემდგომ.

4. საერთაშორისო ურთიერთობები

2018 წლის განმავლობაში სამსახურმა აქტიურად იმუშავა საერთაშორისო/დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კუთხით. სამუშაოს ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა საექსპერტო დახმარება არსებული ნორმატიული/სარეგულაციო სისტემის სადაზღვევო ინდუსტრიის სრულყოფილი და გამართული ფუნქციონირების მიზნით, ასევე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება კონფერენციებში/ტრენინგებში მონაწილეობით.

სამსახური არის დაზღვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციის (International Association of Insurance Supervisors (IAIS)) წევრი. ორგანიზაციის წევრობა ნებაყოფლობითია და მასში შემავალი სხვადასხვა მარეგულირებელი ორგანოების რაოდენობა 2018 წლისთვის შეადგენდა 140–ს.

ასოციაცია წარმოადგენს დაზღვევის საზედამხედველო სტანდარტების დანერგვის საერთაშორისო ორგანოს. მათ მიერ შემუშავებულ დაზღვევის ძირითად პრინციპებთან (ICPs) დაახლოების პროცესში ჩართულია საქართველოს სადაზღვევო სისტემა (აღნიშნულს ასევე ითვალისწინებს „ასოცირების შესახებ შეთანხმება“). სამსახური ჩართულია ასოციაციის თვითშეფასების პროგრამაში (ონლაინ რეჟიმში), დაზღვევის სხვადასხვა ძირითად პრინციპებთან (ICP) შესაბამისობის დადგენის მიზნით, რომლის საფუძველზე ზედამხედველთა ასოციაცია სამსახურს აწვდის შეფასების ანგარიშს მოქმედი კანონმდებლობის ასოციაციის სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით.

დაზღვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციაში (IAIS) შემავალი წევრები დაყოფილია რეგიონების მიხედვით, ჯგუფებად (სულ 9 ჯგუფი). თავის მხრივ, საქართველო მიეკუთვნება ცენტრალური ევროპისა და ამიერკავკასიის რეგიონის ფარგლებში შექმნილ ჯგუფს. თითოეულ რეგიონს/ჯგუფს ჰყავს თავისი წარმომადგენელი ასოციაციის აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც რეგიონის სახელით მონაწილეობს კომიტეტის შეხვედრებში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

2018 წელს გაგრძელდა მუშაობა სადაზღვევო სისტემის ისეთი ინსტიტუციური რეფორმის განხორციელების გეგმაზე, როგორიცაა სერტიფიცირებულ აქტუართა კორპუსის ფორმირება, აქტუარული საქმიანობის რეგლამენტაციის საფუძვლების დადგენა. რაც პირდაპირ უკავშირდება სადაზღვევო ტარიფების ფორმირების პროცესის მოდერნიზაციას, როგორც სავალდებულო, ასევე ნებაყოფლობითი დაზღვევის სახეობებში. სამსახურის ხელშეწყობით აქტუარებისა და ფინანსური ანალიტიკოსების ასოციაციას დაუმტკიცდა პროექტი საქართველოში საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიცირებული ანალიტიკოსი აქტუარის (Certified Actuarial Analyst - CAA) კვალიფიკაციის მქონე აქტუარების ჯგუფის შექმნისთვის, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „Governing for growth (G4G) in Georgia” პროგრამის ფარგლებში, მათივე დაფინანსებით.

მოქმედი აქტუარები/აქტუარად მუშაობის მსურველი პირები გადამზადდა ევროპული სტანდარტების შესაბამისად, რაც შესაძლებლობას იძლევა, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი აქტუარის პროფესიის დანერგვისთვის მომზადდეს სამართლებრივი საფუძვლები და შეიქმნას შესაძლებლობა, რომ სადაზღვევო კომპანიებისთვის სავალდებულო იყოს მოცემული პროფესიის ადამიანების (სერტიფიცირებული აქტუარები) ყოლა.

დაზღვევის სფეროს ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციისა და შემდგომი ინტეგრაციის მიზნით, 2018 წელს სამსახურს ევროკავშირის დაფინანსებით დაუმტკიცდა საჯარო სამსახურების დაძმობილების პროგრამა „TWINNING“, „ასოცირების შეთანხმების ფარგლებში“. საკითხი, რომელსაც პროექტი ითვალისწინებს, საკმაოდ მოცულობითია. კერძოდ, 2009 წლის 25 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/138/EC („სადაზღვევო ბიზნესის დაწყებისა და ფუნქციონირების შესახებ“) დირექტივიდან გამომდინარე, გადახდისუნარიანობა 2-ის (Solvency 2) მოთხოვნებზე გადასვლა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაქტიკის შესწავლა, მზღვეველთა სათანადო ზედამხედველობის და ანგარიშგების კუთხით სრულყოფა. აღნიშნული სტანდარტი ევროკავშირის ქვეყნებში 2016 წლიდან ამოქმედდა. ზემოთ მითითებული პროექტის იმპლემენტაციის ვადად განისაზღვრა 2 წელი. ამ პროექტის ფარგლებში, სამსახურს ეწვევიან ევროკავშირის წევრი ქვეყნის, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი ექსპერტები. პროექტი მასშტაბურია და ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების (მათ შორის სადაზღვევო ინდუსტრიის) ჩართულობით ყველა იმ ღონისძიებას (სამუშაო შეხვედრებს, სასწავლო პროგრამებს/ტრენინგებს), რაც ხსენებული დირექტივის მოთხოვნების დანერგვას მოემსახურება.

დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

2018 წელს გაგრძელდა მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების (TA) სამწლიანი "ფინანსური სექტორის გაღრმავებისა და ჩართულობის პროექტი", რომელიც მიზნად ისახავდა სამსახურის სტრუქტურული და სამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერებას. მოხდა სადაზღვევო სისტემის გადახედვა და ანალიზი, მათ შორის სავალდებულო დაზღვევის პროდუქტების მიმართულებითაც. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სწორედ მოცემული პროექტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის ექსპერტების დახმარებით მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" (ამოქმედდა 2018 წლის 1 მარტიდან). ამავე პროექტის ფარგლებში მომზადდა „საქართველოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი.

პროექტის ფარგლებში ასევე, მომზადდა „მზღვეველის მიერ აღებულ ნეტო ვალდებულებებსა და საზედამხედველო კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობის წესი" პროექტი, რომელიც მოემსახურება სადაზღვევო კომპანიათა გადახდისუნარიანობის გაძლიერებას (მოცემული სტანდარტი სრულად ამოქმედდება 2020 წლიდან).

პროექტი ასევე ითვალისწინებს სადაზღვევო კომპანიებზე ზედამხდველობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ადგილზე და დისტანციური ინსპექტირების სახელმძღვანელოების შემუშავებას სხვადასხვა საკითხებზე (მაგ.: ადრეული გაფრთხილების სისტემა, გადაზღვევა, ზარალები და სხვა).

2018 წელს ევროკავშირის დაფინანსებით დამტკიცდა „ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების" ახალი პროექტი, რომლის დაზღვევის კომპონენტის ტექნიკურად განმახორციელებელი მხარე კვლავ მსოფლიო ბანკია. პროექტის დაზღვევის კომპონენტში შემავალი საკითხები ითვალისწინებს მუშაობას მთელ რიგ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე სადაზღვევო პროდუქტების შექმნასთან მიმართებით, როგორიცაა: ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლებისთვის მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა; მშენებლებისა და არქიტექტორების მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა; დაგროვებადი სიცოცხლის დაზღვევის სისტემის (ანუიტეტური) კუთხით საჭირო სამუშაოების წარმართვა დაზღვევის ამ სახის განვითარების მიზნით, რაც თავის მხრივ მოიცავს ბაზრის მოთხოვნების, სადაზღვევო კომპანიების მზაობის შესწავლას ამ მიმართულებით, რეკომენდაციების შემუშავებას და კონკრეტული პროდუქტების შეთავაზებისთვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრას.

ზემოაღნიშნული პროექტი ასევე მოიცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული აგროდაზღვევის არსებული პროგრამის გადახედვას, რეკომენდაციების შემუშავებას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, არსებული კანონმდებლობის გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში ახალი რეგულაციების დანერგვას, ალტერნატიული სასოფლო-სამეურნეო სადაზღვევო პროდუქტების შეთავაზებას, ინდექსზე დაფუძნებული აგროდაზღვევის განვითარების მიზნით. მოცემულ ნაწილში სამსახური აქტიურად ითანამშრომლებს ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსთან (ARDA), როგორც აგროდაზღვევის პროექტის განმახორციელებელთან.

სწავლებები/კონფერენციები

მსოფლიო გამოწვევების და აქტუალური მიმართულებების გათვალისწინებით, სამსახურმა კვლავ გააგრძელა საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა და გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა სახის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებით.

ყოველწლიური პრაქტიკის გათვალისწინებით, 2018 წელს დაზღვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციის (IAIS) ეგიდით ჩატარდა დაზღვევის ზედამხედველი უწყებების თანამშრომელთა გადამზადების სასწავლო კურსი ონლაინ რეჟიმში, რომელშიც სამსახურის თანამშრომლებმაც მიიღეს მონაწილეობა. ასოციაციის წევრობა იძლევა შესაძლებლობას გაუმჯობესდეს სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული მომზადების დონე და ამაღლდეს მათი კვალიფიკაცია. IAIS-მა ფინანსური სტაბილურობის ინსტიტუტთან (FSI Financial Stability Institute) ერთობლივად, ონლაინ რეჟიმში ჩაატარა სრული სასწავლო (გადამზადების) კურსი დაზღვევის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით (FIRST ONE PROGRAMM).

2018 წელს სამსახურის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა ქ. ლუქსემბურგში გამართულ დაზღვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციის (IAIS) წლიურ კონფერენციაში, რომელიც ახალი გამოწვევების გათვალისწინებით დაზღვევის ახლებურ გააზრებას მიეძღვნა (Re-imagining insurance). საკითხები შეეხო სადაზღვევო ინდუსტრიის ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე დაფუძნებულ ღრმა ცვლილებებს, ამ ახალი გამოწვევების გავლენას სადაზღვევო ინდუსტრიაზე საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში და მისი უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილების შესაძლებლობებს. განხილულ იქნა ხელოვნური ინტელექტი დაზღვევაში, მისი როლი სადაზღვევო ზედამხედველობაში და მონაცემთა ბაზის (big data) სისტემატიზაციის უახლესი მიდგომები, მდგრადი ეკონომიკის განვითარების მიზნით ინვესტიციების გრძელვადიანი დაფინანსების საკითხები, აქვე ამ მიმართულებებით დაზღვევის ზედამხედველების როლი და კონკრეტული ნაბიჯები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების მიხედვით - როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ბაზრებზე. მოცემული შეხვედრა მეტად მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებით, რაც ემსახურება საქართველო-ევროკაშვირს შორის ინტეგრაციას. ზემოაღნიშნული სადაზღვევო სექტორში მსოფლიო მასშტაბით წამყვანი ფორუმია, რომელშიც მონაწილეობას იღებენ, როგორც დაზღვევის ზედამხედველები /მარეგულირებლები (ასოციაციის წევრები), ასევე ბიზნესის წარმომადგენლები/დაინტერესებული მხარეები, ჯამში 200-მდე იურისდიქცია, რომლებიც თავის მხრივ აღნიშნული ასოციაციის წევრები არიან.

2018 წელს, ქ. ბანგკოკში, იაპონიის მთავრობის დაფინანსებით და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), აზიის განვითარების ბანკის ინსტიტუტისა (ADB) და აზიის კატასტროფების მზადყოფნის ცენტრის (ADPC) ორგანიზებით, გაიმართა კონფერენცია თემაზე „კატასტროფული რისკის დაფინანსების სტრატეგიის შემუშავება“, რომელსაც დაესწრნენ სამსახურის წარმომადგენლები. აღნიშნულ შეხვედრაზე განხილულ იქნა კატასტროფული რისკების ზარალის მონაცემების შეგროვების და შეფასების მოდელები, კატასტროფული რისკების გადაზღვევის საერთაშორისო ბაზრის გამოცდილება, სხვადასხვა ქვეყნებში არსებული პრაქტიკული მოდელები გლობალურ ბუნებრივ კატასტროფებთან გამკლავების მიმართულებით. წარმოდგენილი იქნა წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების პრაქტიკა, სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობის მოდელები ამ მიმართულებით, სადაზღვევო გამოცდილება და საერთაშორისო გადაზღვევის სისტემის მუშაობა მოცემულ რისკებთან გამკლავების კუთხით, მოხდა მრავალი ქვეყნის მიერ შესაბამისი პრეზენტაციების წარდგენა და გამოცდილების გაზიარება, რომლის ფარგლებშიც სამსახურის სახელითაც გაკეთდა პრეზენტაცია საქართველოს გამოცდილებასა და პრაქტიკაზე, ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე და სამომავლო

გეგმებზე, საჯარო ფინანსების ფარგლებში კატასტროფებთან დაკავშირებული ვალდებულებების და კატასტროფული რისკების დაფინანსების სტრატეგიის მართვის საკითხებზე.

2018 წელს კვლავ გაგრძელდა ნიდერლანდების ეროვნული ბანკის მხარდაჭერა, რომლის ფარგლებშიც ქ. ამსტერდამში სხვადასხვა დროს გამართულ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს სამსახურის წარმომადგენლებმა შემდეგ თემებზე: „გადახდისუნარიანობა 2-ის იმპლემენტაცია“, „შიდა აუდიტი - ფეხდაფეხ განვითარებისკენ“ და „კიბერუსაფრთხოება ფინანსურ სექტორში“.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სრულყოფის მიმართულებით გადადგმული ქმედითი ნაბიჯების პარალელურად, სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ჩეხეთის რესპუბლიკის ქ. პრაღაში დაზღვევის განვითარების ასოციაციის (APPA) მე-4 წლიურ კონფერენციაში თემაზე „მომხმარებელთა უფლებების დაცვა ევროპაში“. სამსახური გაეცნო მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას, გამოწვევებს, საკანონმდებლო რეგულირების საკითხებს, საზედამხედველო მიმართულებას და სხვა.

2018 წელს, წინა წლების მსგავსად, სამსახურმა განაგრძო მონაწილეობა ავსტრიის ქ. ვენაში, მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმების ცენტრის (CFRR), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფონდის (IFRS Foundation) და ავსტრიის ფინანსთა სამინისტროს ეგიდითა და მხარდაჭერით გამართულ სემინარში "მაღალი ხარისხის ფინანსური ინფორმაცია და ეკონომიკური ინტეგრაცია", რომელიც განკუთვნილი იყო სადაზღვევო ორგანიზაციებისა და ბანკების ზედამხედველთათვის და შეეხებოდა ფინანსური ანგარიშგების (აღრიცხვის) საერთაშორისო სტანდარტებს (IFRS) ფინანსური ბაზრის ზედამხედველებისთვის.

2018 წელს, საერთაშორისო ორგანიზაცია XPRIMM-ის (Promoting the Reinsurance & Insurance Market by Media) ეგიდით ქ. ბაქოში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია დაზღვევის სფეროში არსებულ ახალ ტენდენციებთან დაკავშირებით, სადაც ასევე მონაწილეობდნენ სამსახურის წარმომადგენლები. შეხვედრას დაესწრო, როგორც ევროკავშირის წევრი, ისე არაწევრი ქვეყნები. განხილულ იქნა სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება, როგორც სავალდებულო (ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხიმგებლობა, აგროდაზღვევა და სხვა), ისე ნებაყოფლობით დაზღვევაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით.

2018 წელს, სამსახურმა, როგორც დაზღვევის სფეროში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საზედამხედველო რგოლმა, მონაწილეობა მიიღო ქ. ლუქსემბურგში, ლუქსემბურგის მთავრობის ეგიდითა და ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდის ნაწილობრივი თანადაფინანსებით, ATTF-ის (ფინანსური ტექნოლოგიების გაზიარების ინსტიტუტი) მიერ გამართულ სასერტიფიკატო პროგრამაში: ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია (AML & CTF). კურსის მსვლელობისას განხილულ იქნა ფულის გათეთრების საკითხებთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციები, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, ადეკვატური შიდა კონტროლის სისტემის დანერგვის საუკეთესო პრაქტიკა, რისკზე დამყარებული ზედამხედველობის განხორციელების საშუალებები და სხვა.

2018 წელს სლოვენიის ქ. ლიუბლიანაში, დაზღვევის ადგილობრივი ზედამხედველობის სამსახურის მიერ ორგანიზებულ იქნა კონფერენცია თემაზე ,,დაზღვევა და ციფრული მომავალი“. აღნიშნული შეხვედრა ეძღვნებოდა სადაზღვევო პროდუქტების ციფრული არხებით გაყიდვებიდან გამომდინარე გამოწვევებს, ამ პროცესის სამართლებრივ რეგულირებას საზედამხედველო აქტივობების ჭრილში, ბაზარზე გამოკვეთილ ძირითად ტენდენციებს და სხვა საკითხებს, რომელშიც ახალი ტენდენციების გაცნობის გათვალისწინებით, ასევე მიიღო სამსახურმა მონაწილეობა.

5. მომხმარებელთა უფლებები და ფინანსური განათლება

სამსახურის საზედამხედველო პოლიტიკის სტრატეგია და მთავარი პრიორიტეტია მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეფექტიანი სისტემის დანერგვა.

სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისთვის ხელშეწყობის, სადაზღვევო ორგანიზაციების გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მიზნით, სამსახური მუდმივად ახორციელებს მზღვეველების პრუდენციულ ზედამხედველობას.

სადაზღვევო მომსახურების მიღების დროს, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტების მიღწევის მიზნით, სამსახური ეტაპობრივად ნერგავს მოთხოვნებს.

2018 წელს სამსახურში შეიქმნა სპეციალური სტრუქტურული ერთეული – მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამმართველო და ამ მიმართულებით სისტემური მიდგომების ჩამოყალიბების მიზნით, ჩატარდა არაერთი შეხვედრა სახელმწიფო უწყებებთან (საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი), რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია დაზღვევის სფეროში მომხმარებელთა უფლებების ეფექტიან დაცვასთან. თითოეულ შემთხვევაში განისაზღვრა სამომავლო თანამშრომლობის ფორმატი. მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით აქტუალური საკითხების, არსებული გამოწვევების, სამსახურის მიერ მომხმარებელთა უფლებების დაცვის უკეთ გააზრების განსახილველად, გაიმართა არაერთი ინდივიდუალური ხასიათის შეხვედრა სადაზღვევო ორგანიზაციებთან.

2018 წელს მომზადდა და ამოქმედდა ცვლილებები მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით სარეგულაციო ნორმებში. დაზუსტდა წინა სახელშეკრულებო ეტაპზე მომხმარებლისთვის მისაწოდებელი ინფორმაცია, ხელშეკრულების დადების ეტაპზე სავალდებულოდ მისაწოდებელი დოკუმენტების ჩამონათვალი და ფორმა. ასევე, სავალდებულოდ განისაზღვრა სადაზღვევო ორგანიზაციაში მომხმარებელთა პრეტენზიების განმხილველი სტრუქტურული ერთეულის შექმნა, გამკაცრდა მზღვეველის მიერ მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის პროცედურები და დადგინდა მომხმარებლის მიერ მზღვეველისთვის უკმაყოფილებით მიმართვის ალტერნატიული გზები, სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ პრეტენზიების განხილვის და პასუხის მიწოდების ვადა და ფორმები.

2018 წელს დაინერგა მომხმარებელთა მიერ მზღვეველთან წარდგენილი პრეტენზიების შესახებ ანგარიშგება. ანგარიშგების ფარგლებში, სადაზღვევო ორგანიზაცია ყოველთვიურად აღრიცხავს და სამსახურს წარუდგენს პრეტენზიების შესახებ ინფორმაციას. კერძოდ, თუ რა სახის უკმაყოფილებით მიმართა მომხმარებელმა მზღვეველს, რა შედეგით დასრულდა განხილვა და რა ვადაში მიეწოდა პასუხი.

ზემოაღნიშნული ცვლილებები ძალაში შევიდა 2018 წლის აგვისტოში, ხოლო პროცედურებისა და ანგარიშგების სამსახურისთვის წარდგენის ვადად განისაზღვრა 2018 წლის ნოემბერი. მზღვეველთათვის ახალი რეგულაციების შესრულების ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა და განხორციელდა მზღვეველების ტექნიკური მხარდაჭერა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით, სამსახური ზედამხედველობას უწევს მზღვეველების მიმართ დადგენილი მოთხოვნების შესრულებას და ამავდროულად, განიხილავს მომხმარებელთა განცხადებებს, ახდენს შესაბამის რეაგირებას, საჭიროების შემთხვევაში, ატარებს

საზედამხედველო ღონისძიებებს, განაზოგადებს პრაქტიკას და თითოეული პრობლემიდან გამომდინარე, შეიმუშავებს მათი გადაჭრის გზებს.

2018 წელს სამსახურმა შეიმუშავა „მზღვეველის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების დისტანციური მონიტორინგის მეთოდური სახელმძღვანელო (manual)“, რომლის მთავარი მიზანი იყო სადაზღვევო ორგანიზაციაში მომხმარებელთა უფლებების დაცვისთვის დადგენილი ნორმების მონიტორინგი და ევროკომისიასთან მაკრო ფინანსური დახმარების (MFA) პროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

2018 წელს, „დაზღვევის ფუძემდებლური პრინციპების“ (ICP) გათვალისწინებით, სამსახურმა შეიმუშავა მზღვეველების მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კონცეფციისა და პრეტენზიების განხილვის პროცედურის შემოწმების მეთოდოლოგია/სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტების საფუძველზე იდენტიფიცირდა მზღვეველებთან არსებული ხარვეზები/უზუსტობები და მათი დახვეწის მიზნით, სადაზღვევო ორგანიზაციებთან ჩატარდა არაერთი სამუშაო შეხვედრა.

სამსახური მიისწრაფვის მომხმარებელთა უფლებების ეფექტიანი დაცვის სისტემის დანერგვისკენ. შესაბამისად, აცნობიერებს, რომ რიგ შემთხვევებში რეგულაციები უნდა იყოს განსხვავებული და ამავდროულად ადექვატური. „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სავალდებულო დაზღვევის მოცვის ხელშეწყობისა და მომხმარებლის პრეტენზიის ეფექტიანი განხილვის მიზნით, სამსახურმა განახორციელა ცვლილებები. შედეგად, გამარტივდა სავალდებულო დაზღვევის პოლისის შეძენის და პრეტენზიების წარდგენის პროცედურა. ამ მიზნით, სამსახურმა შეამოწმა ა(ა)იპ „სავალდებულო დაზღვევის ცენტრი“-ს მიერ შემუშავებული მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის პროცედურა და გასცა რეკომენდაციები.

მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით, მზღვეველებისთვის სარეგულაციო ნორმებისა და მათი ადგილზე ინსპექტირების წინაპირობის შექმნის მიზნით, სამსახურმა დაამუშავა ისეთი ნორმატიული, მეთოდოლოგიური და სარეკომენდაციო აქტები, რომლებიც დამახასიათებელია ანალოგიური საკითხების ან/და ფინანსური სფეროს რეგულირებისთვის. შედეგად, მომზადდა პროექტი „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნულ პროექტში, ხაზგასმულია მზღვეველის მიერ სადაზღვევო საქმიანობისას კეთილსინდისიერების, გულისხმიერებისა და წინდახედულობის პრინციპების დაცვის სავალდებულოობა, მზღვეველების მიერ არამდგრადი და რეპუტაციული რისკის შემცველი ბიზნესმოდელების გამოყენების დაუშვებლობა, რაც ემსახურება კეთილსინდისიერი და ჯანსაღი კონკურენციისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფას.

სამსახურის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულება აქტიურად იღებდა მონაწილეობას მსოფლიო ბანკის მისიების ფარგლებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრებში. მათ შორის, 2018 წლის ივნისში, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან შეხვედრისთვის, მომზადდა პრეზენტაცია აღნიშნულ სფეროში სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის, კანონპროექტის მიზნისა და შინაარსის სამომავლო (მოკლევადიანი) გეგმების შესახებ.

მომხმარებელთა უფლებების ეფექტიანი დაცვა განუხრელადაა დაკავშირებული მომხმარებლის ფინანსურ განათლებასთან. 2018 წელს საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთობლივად დაიგეგმა ფინანსური განათლების მიმართულებით შესაბამის პროექტებში ჩართულობა. ამ მიზნით,

სამსახურმა მიიღო მონაწილეობა ფინანსური განათლების ხელშეწყობისთვის გამართულ სხვადასხვა შეხვედრასა და პროექტში (საქართველოს ეროვნულ ბანკი, მსოფლიო ბანკი).

6. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა

სადაზღვევო საქმიანობაზე ზედამხედველობის გარდა, სამსახური ახორციელებს სადაზღვევო ორგანიზაციებისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების ზედამხედველობას მათ მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე. აღნიშნული ხორციელდება სადაზღვევო ორგანიზაციების, როგორც ადგილზე ინსპექტირების, ისე დისტანციური ზედამხედველობის გზით.

სამსახურში ამ მიმართულებით დანერგილი, რისკზე დამყარებული ზედამხედველობის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში მიღებულ და დამუშავებულ იქნა „სადაზღვევო ორგანიზაციების და არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების“ 2017 წლის მეორე ნახევრისა და 2018 წლის პირველი ნახევარი წლის ამსახველი ფორმები. აღნიშნული ანგარიშგებების ფორმების დამუშავება და დინამიკაში დაკვირვება სამსახურს შესაძლებლობას აძლევს დისტანციურად შეაფასოს თითოეულ სადაზღვევო ორგანიზაციაში არსებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკები, შესაბამისად დაგეგმოს ადგილზე ინსპექტირება თუ სხვა სახის საზედამხედველო ღონისძიებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მხრივ, სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში, ადგილზე ინსპექტირების გზით, შემოწმებულ იქნა 3 სადაზღვევო ორგანიზაცია. შემოწმების პერიოდში გამოვლენილ იქნა ისეთი დარღვევები, როგორიცაა მონიტორინგის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის (დოკუმენტების) აღრიცხვისა და შენახვისთვის დადგენილი მოთხოვნების დარღვევა, იდენტიფიკაციის წესების დარღვევა და ა.შ. აღმოჩენილი დარღვევების შესაბამისად, სამსახურის მიერ გაცემულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები და დაკისრებულ იქნა ფულადი ჯარიმები.

სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამული თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პროექტში. საანგარიშო პერიოდში, სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს აღნიშნული პროექტის ფარგლებში გამართულ არაერთ სამუშაო შეხვედრასა თუ ტრეინინგში, მათ შორის, ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ ჩატარებულ ტრენინგებში თემაზე: „ბენეფიციარული მესაკუთრეობა, ოფშორული კომპანიებისა და იურიდიული წარმონაქმნების გამოყენება, მაღალი რისკის მქონე ქვეყნებიდან ფინანსური სახსრების მოძრაობა“; „ფულის გათეთრება გადახდის ახალი მეთოდების გამოყენებით“.

7. საქართველოს ეკონომიკა და სადაზღვევო სექტორი

მიუხედავად ბოლო წლებში რეგიონში არსებული რთული გეოპოლიტიკური ვითარებისა, საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპი შენარჩუნებულია, 2018 წლის მონაცემებით, ეკონომიკური ზრდა შეადგენს 4.7%-ს.

ზრდის ტემპის შენარჩუნებისა და სტაბილური განვითარებისთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად რჩება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარება, დივერსიფიცირება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა და ექსპორტის სტიმულირება, რათა სწრაფად მივუახლოვდეთ დასავლეთ ევროპისა და სხვა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკას და გაუმჯობესდეს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე.





საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშების მიხედვით, საქართველოს ეკონომიკა უახლოეს წლებშიც შეინარჩუნებს ეკონომიკის ზრდის ტემპს და 2019-2024 წლებში ზრდის ტემპი საშუალოდ შეადგენს 5%-ს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება რეგიონის სხვა ქვეყნების მაჩვენებლებს.

საქართველოში ბოლო წლებში განხორციელებული წარმატებული ეკონომიკური, ფისკალური, პოლიტიკური და სოციალური რეფორმების შედეგად, მსოფლიო ბანკის Doing Business რეიტინგის

მიხედვით, საქართველომ მოიპოვა ღირსეული ადგილი მსოფლიოს წარმატებული ქვეყნების ათეულში და დაიკავა მე-6 პოზიცია.



ზემოხსენებულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი არის ისიც, რომ საქართველო არის უამრავი საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე. ევროკავშირთან ასოცირებამ და შენგენის ზონასთან მოპოვებულმა ვიზალიბერალიზაციამ კი უდიდესი პერსპექტივა შეუქმნა, როგორც ტურიზმს, ისე ბიზნესს და ზოგადად საგარეო ურთიერთობებს, მათ შორის საერთაშორისო ცოდნის და გამოცდილების გაზიარებას.



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დაზღვევის სექტორი, მოზიდული პრემიის მიხედვით, ეკონომიკის მცირე ნაწილს წარმოადგენს, ის მოიცავს ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფეროს და სადაზღვევო ინდუსტრიის მნიშვნელობა ბევრად უფრო თვალსაჩინო ხდება დიდი მოცულობის და კატასტროფული მოვლენების დადგომისას. გარდა ამისა, სექტორის განვითარებისთვის არსებობს დიდი პოტენციალი, განსაკუთრებით სავალდებულო დაზღვევის სახეობების, ასევე გრძელვადიანი, მაგროვებადი და დაბრუნებადი სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტების დანერგვის კუთხით. აღსანიშნავია, რომ დაზღვევის მთელი რიგი სავალდებულო სახეობა,

რომელიც უკვე დიდი ხანია მოქმედებს, როგორც ევროკავშირში, ისე სხვა უამრავ ქვეყანაში, კვლავ არ არის განვითარებული საქართველოში. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ავტომობილის მფლობელთა და პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის მიმართულებით.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, არსებულ პირობებშიც კი, დაზღვევის წილი ქვეყნის მშპ-ში მცირედით, მაგრამ მაინც იზრდება ბოლო წლების განმავლობაში. მაგრამ კვლავ, ქონების, პასუხისმგებლობისა და სიცოცხლის დაზღვევის წილი მშპ-ში ბევრად ჩამორჩება ევროკავშირისა და სხვა განვითარებული ქვეყნების სტანდარტებს.

ამავე დროს, სადაზღვევო სექტორი მუდმივად ავითარებს პროდუქტების მრავალფეროვნებასა და ხარისხს და მიუხედავად მშპ-ში მცირე წილისა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფინანსურ სექტორში მოსახლეობის დასაქმებაში.

სადაზღვევო სექტორის წილი მშპ-ში



დაზღვევის წილი საფინანსო სექტორში დასაქმებაში



საქართველოს სადაზღვევო ბაზრის შედარება მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან

(მოზიდული პრემიის წილი მშპ-ში)



მშპ ერთ სულ მოსახლეზე	$4,412	$11,288	$10,693	$18,625	$23,297	$34,489	$41,287	$42,506	$59,484	$31,363

სადაზღვევო ბაზრის ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორები:

- სავალდებულო დაზღვევის სახეობები
- მშპ ერთ სულ მოსახლეზე
- კაპიტალის ბაზრების განვითარების მაღალი დონე
- სიცოცხლის გრძელვადიანი დაზღვევის სახეობები



	დაზღვევის წილი მშპ-ში	მშპ ერთ სულ მოსახლეზე
	1,31%	$4,412
	0,94%	$4,780
	0,67%	$4,193

8. საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და საზედამხედველო სისტემა

მზღვეველების მიერ 2018 წლის განმავლობაში მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 542 მლნ ლარი.

საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრია ითვლება რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ განვითარებულად, თუმცა ეს უფრო მეტად გამოიხატება არასიცოცხლის დაზღვევის სახეობებში.

სექტორს კვლავ აქვს უდიდესი პოტენციალი, რაზეც უფრო ვრცლად ნახსენებია შემდგომ მიმოხილვაში.



მოცემულ დიაგრამაზე გამოსახულია სადაზღვევო ბაზრის განვითარების ბოლო 20 წლის ისტორია. რა თქმა უნდა იყო როგორც ზრდა, ასევე მკვეთრი კლებაც მოზიდულ პრემიაში, თუმცა ამ მოვლენებს აქვს განმარტება. მნიშვნელოვანი ზრდა 2007-2008 წლებში დაკავშირებულია ჯანმრთელობის დაზღვევის სოციალური პროგრამების დანერგვასთან, რაც სრულად ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ. იყო ასევე შემცირება 2011-ში, რაც მოხდა გარკვეული პროგრამების დაფინანსების შემცირების შედეგად. შემდეგ, 2012 წელს სოციალური პროგრამების ბენეფიციართა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა (მოხდა პენსიონრების და 5 წლამდე ასაკის ბავშვების პროგრამაში ჩართვა), თუმცა მაღალი სოციალური მნიშვნელობის გათვალისწინებით, აღნიშნული პროგრამების მართვა გადაეცა სპეციალიზებულ სახელმწიფო სტრუქტურას (სოციალური მომსახურების სააგენტოს).

ამავე დროს, ჯანმრთელობის დაზღვევის კორპორატიული პროგრამების პოპულარობაც იზრდებოდა და დროთა განმავლობაში, მზღვეველებმა შეიმუშავეს კომპლექსური სადაზღვევო პროდუქტები, რამაც დაუყოვნებლივ ასახვა ჰპოვა მოზიდულ პრემიაზე 2014 წლიდან.


სადაზღვევო ბაზრის განვითარება
600
500
400
300
200
100
0
2014
2015
2016
2017
2018


მოზიდული პრემიის დინამიკა ძირითადი სახეობების მიხედვით (მლნ. ლარი)
250
230
210
190
170
150
130
110
90
70
50
30
10
-10
2014
2015
2016
2017
2018
სამედიცინო
სახმ. ტრანსპ.
ქონება
ავტო. პასუხისმგებლობა
სიცოცხლე
სხვა პას. დაზღვ.
სხვა

მოზიდული პრემიის სტრუქტურა სახეობების მიხედვით



ჯანმრთელობის დაზღვევა დღემდე წარმოადგენს დაზღვევის ყველაზე მოთხოვნად პროდუქტს საქართველოს ბაზარზე. თუმცა, ამავე დროს, ის არის მზღვეველებისთვის ყველაზე ზარალიანი, რადგან ამ სახეობაში ზარალების სიხშირე ბევრად აღემატება ნებისმიერი სხვა სახეობის მაჩვენებელს. დროთა განმავლობაში, ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობაში, რაც გამოწვეულია იმით, რომ 2018 წლის მარტში ძალაში შევიდა კანონი „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“.

შენიშვნა 1: „სხვა პასუხისმგებლობის დაზღვევა“ მოიცავს პროფესიული პასუხისმგებლობის, დამქირავებლის პასუხიმგებლობის და ზოგადი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული სახმელეთო ან სხვა სახის ტრანსპორტის დაზღვევასთან.

შენიშვნა 2: "სხვა" ძირითადად მოიცავს ტვირთების, სამოგზაურო, საზღვაო ტრანსპორტის, საავიაციო, ვალდებულებათა შესრულების და ფინანსური დანაკარგებისაგან დაზღვევის სახეობებს.



გადაზღვევა წამოადგენს მზღვეველის ყოველდღიური საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ამავე დროს, ის არის მზღვეველის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი.

როგორც ვხედავთ, გადაზღვევის დაფარვა კანონზომიერად მიჰყვება მზღვეველების საქმიანობის განვითარებას. გადამზღვეველთა მონაწილეობა რჩება სტაბილური აღებული ვალდებულებების უმეტეს ნაწილში, განსაკუთრებთ ეს ეხება ქონებრივი რისკების და პასუხისმგებლობის დაზღვევის მიმართულებებს.

> **შენიშვნა:** მაჩვენებლები არ მოიცავს ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევის და გადაზღვევის მონაცემებს. ძირითადი მიზეზი კი მდგომარეობს იმაში, რომ სიცოცხლის დაზღვევა მეტწილად გაერთიანებულია ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტებში როგორც მარტივი ერთწლიანი სიცოცხლის დაზღვევა განსაზღვრული თანხებით ან ცალკე, საბანკო-სასესხო ვალდებულების ფარგლებში გაცემული სიცოცხლის დაზღვევის სახით. სწორედ ამიტომ, გადაზღვევა აღნიშნულ სახეობებში არ არის ისეთივე ხშირი, როგორც ქონების და პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობებში.

აქვე აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში სულ უფრო პოპულარული ხდება მოცულობითი და კომპლექსური ობლიგატორული გადაზღვევის ხელშეკრულებების გაფორმება და მზღვეველები ცდილობენ ამით მინიმუმამდე დაიყვანონ ფაკულტატური გადაზღვევის ხელშეკრულებების რაოდენობა.

უნდა აღინიშნოს, რომ რისკების გარკვეული ნაწილის გადაზღვევით მიღება საქართველოშიც ხდება.

გადაზღვევის პრემია დაზღვევის ძირითადი სახეობების მიხედვით



წლიდან წლამდე გადაზღვევის მონაწილეობა პრემიებში შენარჩუნებულია, განსაკუთრებით ქონებრივი რისკების და პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობებში.

გადაზღვევის პრემია, როგორც მოზიდული პრემიის ნაწილი
(მლნ. ლარი)





ობიექტური მიზეზების გამო ჯანმრთელობის დაზღვევის და გადაზღვევის პრემია არ იღებს მონაწილეობას ზემოხსენებულ მონაცემებში.

დაზღვევის სახეობები	2014	2015	2016	2017	2018
სამედიცინო	0%	0%	6%	0%	3%
სახმელეთო ტრანსპორტი	4%	6%	3%	17%	26%
ქონება	80%	71%	60%	63%	66%
ავტო. პასუხისმგებლობა	8%	12%	7%	16%	10%
სიცოცხლე	16%	19%	17%	20%	13%
სხვა პას. დაზღვევა	62%	60%	42%	61%	53%
ავიაცია	96%	90%	75%	87%	90%
ვალდებ. შესრ. დაზღვევა	58%	60%	54%	60%	62%
ტვირთები	54%	29%	28%	29%	33%
სხვა	0%	0%	0%	0%	0%
სულ	**26%**	**23%**	**20%**	**21%**	**23%**

ზემოხსენებული ცხრილიდან ჩანს, რომ ყველაზე მეტად გადაზღვევა გამოიყენება საავიაციო რისკების, ქონების, პასუხისმგებლობის, ვალდებულებათა შესრულების და ტვირთების დაზღვევის სახეობებში, ხოლო ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობაში გადაზღვევის როლი მინიმალურია, რადგან აღნიშნულ სახეობაში უფრო ხშირია მცირე მოცულობის სადაზღვევო შემთხვევები, თუმცა ბევრად უფრო მაღალი სიხშირის.

9. ბაზრის კონცენტრაცია





ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს სადაზღვევი ბაზარზე გამოჩნდა რამდენიმე ძლიერი მოთამაშე, რაც თავის მხრივ, აისახა ბაზარზე უმსხვილესი მოთამაშეების წილების გადანაწილებაზეც. მიუხედავად იმისა, რომ უმსხვილესი 5 მზღვეველის წილი ბაზარზე კვლავ მაღალი რჩება, შესამჩნევია დადებითი ტენდენციებიც, რაც იმაში გამოიხატება, რომ 2014 წლიდან დღემდე სხვა, შედარებით მცირე მზღვეველების წილმა 20%-დან 33%-ს მიაღწია.



აღსანიშნავია ისიც, რომ წლების განმავლობაში იმ კომპანიების რაოდენობა, რომელთა წილიც ბაზარზე აღემატება 10%-ს მცირდება და ამჟამად, რისკები მეტად არის გადანაწილებული მზღვეველებს შორის, ხოლო უმსხვილეს მოთამაშეთა კონცენტრაციას, გამჭვირვალობასა და რისკების მართვის ხარისხს სამსახური განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბაზრის სისტემური სტაბილურობა.



2014 წელს, საყოველთაო დაზღვევის პროგრამების სოციალური მომსახურების სააგენტოში გადანაცვლებასთან ერთად, შემცირდა გამომუშავებული პრემია ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობაში, თუმცა ამავე დროს, შემცირდა ზარალებიც, ხოლო 2015 წლიდან, როგორც მოზიდული, ისე გამომუშავებული პრემია სტაბილურად და თითქმის პარალელურად იზრდება, რაც ბაზრის სტაბილურ განვითარებაზე მეტყველებს.



	2015	2016	2017	2018
ანაზღაურებული ზარალები (ბრუტო)	211	232	249	302



	2015	2016	2017	2018
ანაზღაურებული ზარალები (ნეტო)	172	192	221	236

მოცემული ცხრილები და გრაფიკები გვიჩვენებს ხარისხიანი გადაზღვევის არსებობის მნიშვნელობას. მკაფიოდ ჩანს, რომ გადაზღვევის დახმარებით, მიუხედავად დიდი რყევებისა და ცვალებადობისა ანაზღაურებულ და დამდგარ ბრუტო ზარალებში, გადაზღვევის დახმარებით ნეტო მაჩვენებლები მნიშვნელოვანწილად უფრო სტაბილურია.


დამდგარი ზარალები ბრუტო და ნეტო
400
350
300
250
200
150
100
2014
2015
2016
2017
2018
დამდგარი ბრუტო ზარალები
დამდგარი ნეტო ზარალები


ზარალიანობის კოეფიციენტი (ბრუტო)
69%
67%
65%
63%
61%
59%
57%
55%
65%
60%
63%
61%
69%
2014
2015
2016
2017
2018



კომპლექსური გადაზღვევის ხელშეკრულებების გამოყენებისა და ამავე დროს, პორტფელის ზრდის პირობებში, ასევე, საგრძნობლად შემცირებულია კომპანიების ნეტო ზარალიანობის კოეფიციენტის დინამიკა. აქვე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქონებრივი რისკების დაზღვევის სახეობებში მსხვილი ზარალების უმეტეს ნაწილში მოქმედებს ფრონტინგული (ანუ 100% გადაზღვევის) ხელშეკრულებები.

10. მზღვეველების აქტივების სტრუქტურა

აქტივის დასახელება	თანხა (მლნ. ლარი)
ფულადი სახსრები, მათი ექვივალენტები და მოთხოვნები საკ. დაწეს. მიმართ	207
ფინანსური აქტივები	8
დაზღვევის და გადაზღვევის მოთხოვნები, წმინდა*	237
სხვა სადაზღვევო აქტივები**	160
ინვესტიციები შვილობილ და დაკავშირებულ პირებში	34
ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება	45
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტიები, წმინდა	25
სხვა აქტივები	26
სულ	**743**

მზღვეველები აქტივების სტრუქტურა



მზღვეველების ჯამური აქტივების სტრუქტურა მიგვითითებს იმაზე, რომ მათი უდიდესი წილი კონცენტრირებულია ლიკვიდურ აქტივებში და ძირითადად დაკავშირებულია სადაზღვევო საქმიანობასთან. აქვე ჩანს, რომ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ლიკვიდური აქტივების 1/3 შეადგენს.

*** შენიშვნა 1**: სადაზღვევო და გადაზღვევის მოთხოვნები შემცირებულია კანონმდებლობით დადგენილი გაუფასურების რეზერვით;

**** შენიშვნა 2**: სხვა სადაზღვევო აქტივები ძირითადად შედგება რეზერვებში გადამზღვევლის წილისაგან.

მზღვეველების საბალანსო ვალდებულებების სტრუქტურა



საბალანსო ვალდებულებების სტრუქტურიდან უფრო მკაფიოდ ჩანს, რომ მზღვეველების მიერ აღებული ვალდებულებების 92% უშუალო კავშირშია სადაზღვევო და საპენსიო საქმიანობასთან.

სადაზღვევო რეზერვების განთავსება კი ძირითადად ხდება ფულადი სახსრების სახით. რეზერვების მხოლოდ მცირედი ნაწილი არის განთავსებული უძრავ ქონებაში ან ფინანსურ აქტივებში. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ფინანსური აქტივების ხარისხს სამსახური განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდება.



11. სექტორის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფა



კანონმდებლობის თანახმად, მზღვეველის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს 4.2 მლნ ლარს ფულადი ფორმით, თუ მზღვეველი ახორციელებს საქმიანობას დაზღვევის შემდეგ სახეობებში:

- სიცოცხლის დაზღვევა;
- დაზღვევა (არა სიცოცხლის);
- გადაზღვევა;
- სავალდებულო დაზღვევის სახეობები;
- ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა

3.4 მლნ ლარი, თუ მზღვეველი საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ არა სიცოცხლის დაზღვევის სახეობებში, გარდა სავალდებულო დაზღვევის და ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობებისა.

31.12.2020-დან მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები იზრდება 7.2 მლნ ლარამდე ფულადი ფორმით, თუ მზღვეველი ეწევა საქმიანობას დაზღვევის შემდეგი მიმართულებებით:

- სიცოცხლის დაზღვევა;
- (დაზღვევა) არა სიცოცხლის;

- გადაზღვევა;
- სავალდებულო დაზღვევის სახეობები;
- ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა.

ხოლო, თუ მზღვეველი საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ არა სიცოცხლის დაზღვევის სახეობებში, გარდა სავალდებულო დაზღვევის და ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის სახეობებისა, 2020 წლის 31 დეკემბრიდან მინიმალური კაპიტალის ოდენობა შეადგენს 4.8 მლნ ლარს.

როგორც ზემოხსენებული გრაფიკიდან ჩანს, ყველა მოქმედ მზღვეველს აქვს გარკვეული დრო იმისთვის, რომ შეასრულოს კაპიტალის ზრდის მოთხოვნები, თუმცა ლიცენზიის მაძიებლებს მოეთხოვებათ, რომ ზემოხსენებული მოთხოვნები დააკმაყოფილონ ლიცენზიის მოსაპოვებლად სამსახურისთვის მიმართვის მომენტიდანვე.

მიუხედავად რამდენიმე სახეობაში საკმაოდ მაღალი ზარალიანობისა, საქართველოში ბაზრის ჯამური უკუგება კაპიტალზე (ROE) საშუალოზე მაღალია, როგორც ევროკავშირის, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტეს ქვეყნებთან შედარებით.

2018 წლის შედეგები გვიჩვენებს 19%-საც კი, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი ფაქტიურად უფრო მაღალიც კი არის, რადგან მასზე ასევე მოქმედებს მზღვეველების კაპიტალის აქტიური ზრდა იმავე წლის ბოლოს.

წლიური მოგების დინამიკა
(მილიონი ლარი)





ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ყველა შესაბამისი დირექტივის მოთხოვნების გათვალისწინებით, მზარდი მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებთან სამსახურმა შემოიღო საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები და დანერგა ე.წ. "გადახდისუნარიანობა 1"-ის (Solvency 1) საზედამხედველო რეჟიმი.

2016 წელს გადახდისუნარიანობისა და საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დანერგვამ გადამწყვეტი როლი ითამაშა მზღვეველების კაპიტალის ეტაპობრივ ზრდაზე.

საზედამხედველო კაპიტალის დათვლისას მზღვეველების საბალანსო კაპიტალს აკლდება გარკვეული აქტივები, რადგან საზედამხედველო კაპიტალი უნდა წარმოადგენდეს მზღვეველის კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც შედგება უფრო მეტად ლიკვიდური აქტივებისგან.

ზემოხსენებულის გამო, მზღვეველების ნაწილს მოუწია კაპიტალში დამატებითი დაბანდებების განხორციელება, თუმცა ამავე დროს, სამსახური მაქსიმალურად ხელს უწყობდა კომპანიების მომგებიანობისა და ზოგადად სადაზღვევო ბაზრის განვითარებას.



გადახდისუნარიანობის მაჩვენებლის და საზედამხედველო კაპიტალის ზრდის დინამიკა
(მლნ ლარი)



როგორც მოცემული გრაფიკებიდან ჩანს, ბოლო წლების განმავლობაში საზედამხედველო კაპიტალის ზედმეტობა გადახდისუნარიანობის მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია, რაც მეტყველებს ბაზრის ფინანსური სტაბილურობის გაუმჯობესებაზე.

2018 წლის ბოლოსთვის ზედმეტობამ 60%-ს გადააჭარბა, რაც ბევრად უკეთესი შედეგია იმ ვითარებასთან შედარებით, რომელიც იყო ახალი მოთხოვნების დანერგვისას.

საზედამხედველო კაპიტალი, როგორც მზღვეველების საკუთარი კაპიტალის ნაწილი
(მლნ ლარი)



საზედამხედველო კაპიტალი, როგორც მზღვეველების საკუთარი კაპიტალის ნაწილი
(საკ. კაპიტალის %)



საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დანერგვის მომენტიდან, 2016 წლიდან დღემდე მნიშვნელოვნად შემცირებულია დისკონტირებული აქტივების წილი კომპანიების ჯამური აქტივების მოცულობაში.

12. სადაზღვევო ბროკერები

2018 წლის ბოლოს საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული 25 სადაზღვევო ბროკერიდან ნახევარზე მეტი არ გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი მოცულობის აქტიურობით.

სადაზღვევო ბროკერებს საშუამავლო საქმიანობის განხორციელების უფლება აქვთ ერთდრულად როგორც დაზღვევის, ისე გადაზღვევის მიმართულებით, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკური მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ მათი საქმიანობის დიდი წილი მოდის გადაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობაზე, ვიდრე დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობაზე.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სადაზღვევო ბროკერების საქმიანობა სადაზღვევო ბიზნესის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. იგი არის მნიშვნელოვანი რისკის მატარებელი მომხმარებელთა კუთვნილი თანხების და რისკების განთავსების ხარისხის მიმართულებით. სწორედ ამის გათვალისწინებით, განხორციელდა დაზღვევის შუამავლების მარეგულირებელი საზედამხედველო ჩარჩოს გაძლიერება, რაც მომავალში უფრო მეტად უზრუნველყოფს საქმიანობის მაღალ ხარისხს, პროფესიონალიზმსა და საიმედოობას.

ბროკერების მონაწილეობა სადაზღვევო პრემიის მოზიდვაში



ბროკერების მონაწილეობა გადაზღვევის ოპერაციებში